სატენდერო განცხადების ნომერი	SPA	23901	თარიღი	25.09.2012 12:00
შემსყიდველი	საქართველოს შრომის , ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო			
ლოტი	30,000			

ჩვენს შესახებ

სს „სილქნეტი"უმსხვილესი კომპანიაა, რომელიც გთავაზობთ სრულ სატელეკომუნიკაციო სერვის სმთელი ქვეყნის მასშტაბით. კომაპნიადა არსდა 2010 წელს სს „გაერთიენებული ტელეკომის", შპს „ვანექსის" და შპს „აჭარის ელექტროკავშირის" მიერ.

სს „სილქნეტის" სატელეფონო მომსახურების მაღალი ხარისხის გარანტირება მოხდება ჩვენს მიერ ინფრასტრუქტურის მოწყობისას გამოყენებული თანამედროვე და მაღალი ხარისხის ტექნიკურ საშუალებებზე დაყრდნობით.

კავშირის საიმედოობა – კავშირის საიმედოობა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ სს „სილქნეტის" ქსელი აგებულია DWDM აპარატურის გამოყენებით ოპტიკურ–ბოჭკოვანი კაბელის საშუალებით, აპარატურულ–ტექნიკური მოწყობილობები, აგრეთვე მათი კავშირები ძირითად ქსელთან არის დუბლირებული, ბევრ შემთხვევაში ორმაგად დუბლირებული. შეერთებებს სს „სილქნეტი" ახორციელებს ფრანქფურტის გავლით. რგოლური პრინციპით აგებულება და ოპტიკური კაბელის ერთი მიმართულებით დაზიანება გამორიცხავს კავშირის შეწყვეტას, რაც ზრდის ქსელის საიმეოობას და დაცულობას.

კომპანია ფლობს ორ ერიქსონის ფირმის საერთაშორის სადგურს – soft-switch და axe-10 (TDM) სადგური, რომლიდანაც ხორციელდება საერთაშორისო კავშირები ქვემოთ ჩამოთვლილ მსოფლიოში უმსხვილეს საერთაშორისო ოპერატორებთან. კომპანია უზრუნველყოფს როგროც TDM, ისე VOIP მომსახურებას.

საერთაშორისო კავშირის დასამყარებლად კომპანიას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს შემდეგ ოპერატორებთან: TeliaSonera, Deutsche Telecom, iBasis, Turktelecom, Tata Communication, Lank Telecom, Armentel. მათგან ხორციელდება პირდაპირი ჩართვა თანამგზავრული, ოპტიკურ–ბოჭკოვანი არხების საშუალებით და რამდენიმე მიმართულებით 2 მგ/წმ სიჩქარის არხების საშუალებით, რაც იძლევა სმენადობის მაღალ ხარისხს და დაყოვნების მინიმალური დროით შემცირების საშუალებას.

- ყველაზე ფართო ქსელი – 62 ფილიალი ქვეყნის მასშტაბით;
- 450,000–ზე მეტი აბონენტი მთელს საქართველოში;
- 3,787 თანამშრომელი, რომელიც ყოველდღიურად ზრუნავს თქვენთვის.
- ტექნიკური მხარდაჭერა 24/7–ზე, შაბათ–კვირის ჩათვლით;

უპირატესობანი

- საკუთარი ოპტიკურ–ბოჭკოვანი ქსელი მთელი საქართველოს მასშტაბით;
- მაღალი საიმედოობის კავშირის უზრუნველყოფა;
- ინფორმაციის გადაცემის მინიმალური დრო;
- დისტანციური სამუშაოების უსაფრთხო და ეფექტური განხორციელების საშუალება;

- ქსელის მარტივი მოწყობა და მართვა;
- ქსელის გაფართოების სწრაფი და შეუზღუდავი შესაძლებლობა;
- დაზიანების აღმოფხვრის მინიმალური დრო;
- შეერთების სიჩქარის ნებისმიერი მოცულობით მოწოდება;
- გლობალური ქსელში შეერთების სარეზერვო გადაზღვევა;
- სპეციალურად შექმნილი კორპორატიული დეპარტამენტი თქვენი სწაფი და ეფექტური მომსახურებისთვის;
- ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტის უფრო სწრაფი და გამარტივებული გზა თქვენს კომპანიაზე მორგებული ანგარიშთა მმართველის მეშვეობით;
- თქვენს მოთხოვნილებებზე მორგებული პროდუქტები;
- უფასო კონსულტაცია ტექნიკურ დეპარტამენტთან ნებისმიერ სატელეკომუნიკაციო თემაზე;
- ანგარიშთა მმართველისგან მუდმივი ინფორმირება სს "სილქნეტში" არსებული თქვენთვის საინტერესო სიახლეების შესახებ;
- ურთიერთბა მხოლოდ ერთ კომპანიასთან ყველა სატელეკომუნიკაციო მომსახურებაზე;
- ოთხი დამოუკიდებელი შეერთება ინტერნეტ რესურსებთან. ორი შეერთება თურქეთის გავლით (ვალე და სარფი), ერთი შეერთება ფრანქფურტში (თურქეთის გავლით) და ერთი აზერბაიჯანის გავლით დსთ-ს რესურსებთან დასაკავშირებლად.

ინფორმაცია გასაწევი მომსახურების შესახებ

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის სატელეფონო მომსახურების შესყიდვა.
ამჟამად სამინისტრო სარგებლობს სს ,,სილქნეტის" მიერ გამოყოფილი 31 PRI ნომრით.

მომწოდებელმა უნდა უზრუნველყოს:

1. სათანადო ტრაფიკის ოპტიკურ–ბოჭკოვანი კავშირი (8X2 მბ/წმ) მიწისქვეშა კომუნიკაციებით–საკუთარი ხარჯით;
2. 6 ერთეული E1–ის მონტაჟი და ინსტალაცია აბონენტის მიერ შერჩეულ ადგილას–საკუთარი ხარჯით;
3. 8 პორტიანი E1 კონვენტორის მონტაჟი და ინსტალაცია–საკუთარი ხარჯით;
4. სადემარკაციო წერტილს წარმოადგენს აბონენტის განთავსების ადგილზე დამონტაჟებული კონვერტორი, შესაბამისად საკომუნიკაციო მოწყობილობების ფუნქციონირებაზე პასუხისმგებლობა შემდეგნაირად ნაწილდება:
   ა) ოპტიკურ–ბოჭკოვანი კავშირის, E1 და კონვერტორის გამართული ფუნქციონირება - მომწოდებლის მხარე, მომწოდებლის მხარეზე აღმოჩენილი დაზიანების აღმოფხვრა უნდა ხორციელდებოდეს უფასოდ დაზიანების შეტყობინებიდან მაქსიმუმ 3 დღის ვადაში.
   ბ) კონვერტორის შემდეგ შიდა სატელეფონო კავშირის უზრუნველყოფა – აბონენტის მხარე. აბონენტის მხარეზე აღმოჩენილი დაზიანებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება აბონენტს;
5. PRI ტელეფონის ნომრების მოწოდება (მაქსიმუმ 180 ერთეული. საბაზისო რაოდენობა 40.)
6. „ცხელი ხაზის" მოკლე ნომრის (1505) ფუნქციონირების უზრუნველყოფა:
   - „ცხელი ხაზის" მოკლე ნომრის (1505) გატარება აბონენტის არხში;
   - „ცხელი ხაზის" მოკლე ნომრის (1505) ურთიერთჩართვის შესახებ საქართველოს ყველა ოპერატორის ინფორმირება უმოკლეს ვადებში;
   - „ცხელი ხაზის" მოკლე ნომერი (1505) უნდა იკრიფებოდეს ყველა ოპერატორიდან ყოველგვარი ინდექსის გარეშე;
   - გამავალ ზარზე უნდა შუქდებოდეს ნომერი 1505
7. „ცხელი ხაზის" ნომრის (800 900 900) ფუნქციონირების უზრუნველყოფა:
   - „ცხელი ხაზის" ნომრის (800 900 900) გატარება აბონენტის არხში;
   - „ცხელი ხაზის" ნომრის ((800 900 900)) ურთიერთჩართვის შესახებ საქართველოს ყველა ოპერატორის ინფორმირება უმოკლეს ვადებში;
   - „ცხელი ხაზის" ნომერი (800 900 900) უნდა იკრიფებოდეს ყველა ოპერატორიდან ინდექსი „0" - ის დამატებით;
   - გამავალ ზარზე უნდა შუქდებოდეს ნომერი 800 900 900
8. საერთაშორისო, საქალაქთაშორისო და მობილური კავშირის ოპერატორის ფუნქციონირება (ურთიერთჩართვა);
9. საჭიროების შემთხვევაში, ხარჯების მონიტორინგის მიზნით საუბრების ბილინგის მოწოდება თითეული PRI ნომრის მიხედვით (არა უმეტეს თვეში ერთხელ)
10. მიმწოდებლის თბილისის ადგილობრივ ქსელში ულიმიტო წუთობრივი საუბრები;

2.2 აუცილებელი მოთხოვნები, რომლებიც უნდა უზრუნველყოს მიმწოდებელმა:

2.2.1.სატელეფონო მომსახურების გაწევისას საუბრების დროის წამობრივი დამრგვალება;

2.2.2.შემსყიდველის დავალიანების შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მოწოდება შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად;

2.2.3. ბილინგის მოწოდება ელექტრონული სახით, Microsoft Excel - ფორმატში, თითოეული PRI ნომრის მიხედვით.

შენიშვნა: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2010 წლის 6 ივლისის N3 დადგენილების საფუძველზე, შესაძლებელია სამინისტროს ფიქსირებული სატელეფონო ნომრების პორტირება. (ზემოაღნიშნულ ტენდერში არაპროვაიდერი კომპანიის გამარჯვების შემთხვევაში უნდა განხორციელდეს იგივე სატელეფონო ნომრებით კავშირგაბმულობის მომსახურება ხელშეკრულების გაფორმების დღიდან). ამასთან, მომსახურებასთან დაკავშირებულ სამონტაჟო, გაყვანილობის და დაერთების სამუშაოებს უზრუნველყოფს მიმწოდებელი საკუთარი თანხებით, შემსყიდველის მხრიდან ყოველგვარი დამატებითი ხარჯების გარეშე.

2.3 მომსახურების გაწევის ვადები: უწყვეტად, ხელშეკრულების გაფორმებიდან - 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

2.4. მომსახურების გაწევის ადგილი - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული შენობა - ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №144.

გასაწევი მომსახურების ხარჯთაღრიცხვა

N	შესყიდვის ობიექტი	წუთების რაოდენობა არაუმეტეს	1 წუთის ღირებულება	მთლიანი თანხა (ლარებში)
1.	სხვა სატელეფონო კომპანიის ფიქსირებული ქსელის აბონენტებთან კავშირის ღირებულება	90000	0.04	3600.00

N	შესყიდვის ობიექტი	ზარების რაოდენობა	ერთ. ღირებულება	მთლიანი თანხა (ლარებში)
1.	„ცხელი ხაზის“ სატელეფონო ნომრით (800 900 900) სარგებლობის სატარიფო სქემა:			
	-მობილური ოპერატორებიდან განხორციელებული ზარების წამოწყებისა და ტრანზიტის ტარიფი	50000	0.12	6000.00
	-სხვა ფიქსირებული ქსელებიდან განხორციელებული ზარების წამოწყებისა და ტრანზიტის ტარიფი	50000	0.06	3000.00

ცხრილი 2

N	შესყიდვის ობიექტი	1 თვის სააბონენტო	მთლიანი თანხა (ლარებში)
1.	ტრანზიტი დამაკავშირებელის ყოველთვიური სააბონენტო გადასახადი;	15.00	180.00
2.	თითოეული ტრანზიტული ხაზის ყოველთვიური სააბონენტო გადასახადი;	15.00	180.00
3.	6xE1 (6x 2მგბ/წმ არხის) ერთი თვის მთლიანი სააბონენტო გადასახადი;	960.00	11520.00
4.	6xE1 (მაქსიმუმ 180 PRI ნომერი) – ერთი თვის სააბონენტო გადასახადი თითოეულ ჩართულ ნომერზე (PRI ნომრების საბაზისო რაოდენობა 40);	360.00	4320.00
5.	„ცხელი ხაზის“ მოკლე სატელეფონო ნომრის (1505) ერთი თვის სააბონენტო გადასახადი.	30.00	360.00
6.	„ცხელი ხაზის“ სატელეფონო ნომრის (800 900 900) ერთი თვის სააბონენტო გადასახადი.	30.00	360.00
		სულ ჯამი	29520.00

მომსახურების ჯამური ღირებულება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით შეადგენს – 29520,00 (ოცდაცხრა ათას ხუთასოცი) ლარი.

ინფორმაცია ანგარიშსწორების პირობების შესახებ

ანგარიშსწორების ფორმაა – უნაღდო ანგარიშსწორება ეროვნულ ვალუტაში;

გაწეულ მომსახურებაზე ანაზღაურება იწარმოება ყოველი საანგარიშო თვის მომდევნო თვის 25 რიცხვამდე, „მიმწოდებლის" მიერ წარმოდგენილი ანგარიშ–ფაქტურის და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. ანგარიშ-ფაქტურა წარმოდგენილი იქნება ყოველი თვის 15 რიცხვამდე;

აბონენტი კომპანიასთან ანგარიშსწორებას აწარმოებს საბანკო ქსელის ან/და შეთანხმებით დადგენილი ფორმითა და წესით.

ინფორმაცია სს „სილქნეტის“ გამოცდილების შესახებ

სს „სილქნეტი“ ახორციელებს ანალოგურ მომსახურებას ისეთი მსხვილი ორგანიზაციებისათვის, როგორებიცაა:

<u>სახელმწიფო ორგანიზაციები:</u>

საქართველოს პარლამენტი

უზენაესი სასამართლო;

პრეზიდენტის ადმინისტრაცია;

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური;

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო;

კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი;

კონტროლის პალატა;

თბილისის მერია;

თავდაცვის სამინისტრო;

ფინანსთა სამინისტრო;

შინაგან საქმეთა სამინისტრო;

იუსტიციის სამინისტრო;

საგარეო საქმეთა სამინისტრო;

ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო;

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია;

ჯანდაცვის სამინისტრო;

კულტურის სამინისტრო;

და სხვა.

<u>ბანკები:</u>

სს “საქართველოს ბანკი“;

სს „თიბისი ბანკი“;

სს “ბანკი რესპუბლიკა“;

სს „ეიჩ ეს ბი სი ბანკი საქართველო“;

სს ”ბაზის ბანკი“;

სს „კორსტანდარტბანკი“;

სს „ბითიეი ბანკი“;

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“;

სს “ტაო პრივატ ბანკი“;

სს „ლიბერთი ბანკი“;

სს „პროკრედიტ ბანკი“;

და სხვა.

რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება: ს.ს. "სილქნეტი"

ხელმძღვანელის სახელი და გვარი: ლევან ბუჩუკური

ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირი: ნუგზარ ჩინჩალაძე

იურიდიული (დაფაქტიური) მისამართი: ქ. თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. N: 95

საიდენტიფიკაციო კოდი: 204566978

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი: (+995 32) 100000/1710

ელექტრონული მისამართი: mbrelidze@silknet.com

ბანკის დასახელება: სს „საქართველოს ბანკი"

ბანკისკოდი: BAGAGE22

ანგარიშსწორების ანგარიში: GE41BG0000000878415000

მომსახურების მიწოდების ვადა: მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შემოთავაზებული სატენდერო წინადადების ფასი: 29520,00 (ოცდაცხრა ათას ხუთასოცი) ლარი.

პრეტენდენტის სატენდერო წინადადება ძალაშია სახელმწიფო შესყიდვების, ერთიან ელექტრონულ სისტემაში წინადადებების მიღების დაწყების თარიღიდან „გამარტივებული შესყიდვის,გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ", „რ" ან „ტ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ეტაპის დადგომამდე.

ტენდერში გამარჯვების შემთხვევაში მომსახურება გაწეული იქნება წინამდებარე დოკუმენტაციაში მოცემული ტექნიკური დავალების შესაბამისად.